№6

ივნისი, 2021წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

,,ბოლნისი - ოქროსფერი ღვინის ქალაქი“

გვ:2

ბოლნისის მუნიციპალიტეტში კორონა ვირუსის ახალი შემთხვევები ფიქსირდება

გვ:2

ტანძიაში ახალი ტურისტული ზონა მოეწყობა

გვ:3

,,ბოლნისი - ოქროსფერი ღვინის ქალაქი“

გზას, რომელიც ბოლნისურმა ღვინომ გაიარა დიდი წარსული აქვს, განსაკუთრებული გემოვნური თვისებების მქონე ძველი ქართული ტექნოლოგიით დაყენებული ქვევრის ღვინოები წარმატებულ და ძალიან მაღალი დონის ქართული ღვინის მარათონს დაუბრუნდა. სწორედ ამის დასტურად ბოლნისი ერთი დღით, ოქროსფერი ღვინის ქალაქად გადაიქცა, ძველი გერმანული წისქვილის სივრცეში ბოლნისური ღვინოების პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართება, სადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება ჰქონდათ აღმოეჩინათ და დაეგემოვნებინათ „ქართული ღვინის გილდიის“ მიერ, OIV-ის საერთაშორისო სტანდარტით შეფასებული 16 ბოლნისური მარნის, 29 საუკეთესო ღვინო.

მოწვეულმა შეფ მზარეულმა, მიშა ავსაჯანიშვილმა კი სტუმრების წინაშე, ბოლნისური სამზარეულო და ქვემო ქართლის ტრადიციულ ავთენტური კერძები გააცოცხლა, რომლებიც შემდგომში ბოლნისის მთავარ კერძებად იქცევა.

ასევე ღონისძიების ფარგლებში მოეწყო პირველი ქართული ღვინის ჟურნალის Homeland OF Wine-ის პრეზენტაციაც.

ღონისძიების ფარგლებში მოწვეულმა სტუმრებმა კომპანია ,,არემჯის'' მიერ, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში შეძენილი ძველი გერმანული შენობა დაათვალიერეს, სადაც მალე ქართულ-გერმანული ღვინის სახლის პროექტი დაიწყება. რომლის სახლის მიზანი ადგილობრივი ღვინის პოპულარიზაცია და მისი საერთაშორისო ბაზარზე წარმოჩენაა. აღდგენა-რეაბილიტაციის შემდგომ აქ წარმოდგენილი იქნება ბოლნისელი მეღვინეების პროდუქცია, სადეგუსტაციო და საპრეზენტაციო სივრცეები, სადაც ქართველი და უცხოელი სტუმრები ბოლნისური ღვინოების დაგემოვნებას შეძლებენ.სტუმრებმა ასევე მოინახულეს ელიას მთის სამონასტრო კომპლექსი, ტერასებზე გაშენებული ვაზი და ღვინის მარანი, სადაც ბერების მიერ დაყენებული ღვინო ,,ზედაშე“ მზადდება.

,,ბოლნისში ღვინის წარმოების კულტურის აღორძინება მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას აძლევს რეგიონი ღვინის ტურიზმის ცენტრად იქცეს. ამ მიმართულებით არაერთ პროექტს ვახორციელებთ. მერიის მხარდაჭერით ღონისძიების „ბოლნისი - ოქროსფერი ღვინის ქალაქი“ ფარგლებში, ბოლნისური ღვინოების პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა. ჩვენს მეღვინეებს შესაძლებლობა ჰქონდათ პროდუქცია პოტენციური მყიდველებისა და დაინტერესებული პირებისთვის წარედგინათ. მოხარული ვარ, რომ ბოლნისური, მართლაც გამორჩეული არომატისა და გემოვნური თვისებების მქონე ღვინოებისადმი ინტერესი თანდათან იზრდება, ეს კი ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებისთვის უდავოდ მნიშვნელოვანია. მსურს, ღონისძიების თითოეულ მხარდამჭერს თანადგომისთვის დიდი მადლობა გადავუხადო,“განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დვით შერაზადიშვილმა.

ღონისძიება ,,ბოლნისი -ოქროსფერი ღვინის ქალაქი“, ,,ქართული ღვინის გილდია“, მეღვინეთა გაერთიანება ,,ღვინო ბოლნისის'', ,,აგროცენტრის“ ორგანიზებითა და ბოლნისის მუნიციპალიტეტისა და კომპანია ,,არემჯის“ მხარდაჭერით ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ მეღვინეთა გაერთიანება „ღვინო ბოლნისი“ 2018 წელს ჩამოყალიბდა და 35-მდე მცირე ტიპის საოჯახო მარანს აერთიანებს.

კომპანია „არემჯისა“ და ბოლნისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ბევრი საინტერესო და სასარგებლო პროექტი ხორციელდება.

„არემჯი“ ხელს უწყობს მეღვინეთა გაერთიანებას, საუკეთესო ბოლნისური ღვინოების წარმოებასა და მათ პოპულარიზაციაში. თანამშრომლობის შედეგად, ბოლნისური მარნები სისტემატურად მონაწილეობენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოფენა-კონკურსებში. გადიან სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსებს და სემინარებს, რათა მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის საუკეთესო ღვინოები შესთავაზონ.

მაგდა დევნოზაშვილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტში კორონა ვირუსის ახალი შემთხვევები ფიქსირდება

ბოლნისში 30 ივნისს, კოვიდ19-ის 12 ახალი შემთხვევა გამოვლინდა,

ვირუსი ბოლნისელ მოქიდავეებს დაუდასტურდათ, რომლებიც ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე იმყოფებოდნენ. ინფიცირებულთა კონტაქტებიდან კიდევ სამ მოქალაქეს დაუდასტურდა ვირუსი, გარდა ამისა ყოველდღიურად ფიქსირდება ერთეული შემთხვევები, ვირუსის გავრცელების არეალმა იმატა, ამიტომ ბოლნისის ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი საზოგადოებას სიფრთხილისკენ და არსებული რეკომენდაციების დაცვისკენ მოუწოდებს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ ახალგაზრდებზე ორიენტირებული სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა

ბოლნისის მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს და ზრუნავს ახალგაზრდობაზე და ცდილობს მუდმივად შეიტანოს სიახლეები ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროცესში. 2015 წლიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა, რაც თავდაპირველად გულისხმობდა ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავეთათვის, თემატიკიდან გამომდინარე, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგ-სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს, გამოცდილების გაზიარებას და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, დაკვირვების შედეგად, აღმოჩნდა, რომ უფრო ეფექტური იქნებოდა ადგილობრივ დონეზე მსგავსი დოკუმენტის შექმნა, რომელშიც დეტალურად აისახებოდა საჭიროებები, გამოწვევები და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მათი გადაჭრის გზები.

,,2019 წლის მეორე ნახევრიდან დავიწყეთ მუშაობა ადგილობრივი ახალგაზრდული სტრატეგიის შექმნაზე. გარკვეული სამუშაოების გატარების შემდეგ 2020 წელს ჩავერთეთ ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამაში, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდული სფეროს ერთიანი ეკოსისტემის შექმნას და აქტიურად დავიწყეთ საკითხზე მუშაობა. პირველ ეტაპზე მოხდა ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ადამიანების ხელახალი გადამზადება, 10 სამიზნე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად სტრასბურგში ვიმყოფებოდი, სადაც მონაწილეობა მივიღე სამუშაო შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო ევროპული გამოცდილების გაცნობა-გაზიარება და იმ მოდელის მორგება ჩვენს რეალობაში. შეხვედრას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სადაც დეტალურად იყო განხილული, თუ როგორ და რა გზებით უნდა შექმნილიყო ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია. იქვე დაიგეგმა სამუშაო პროცესის ნაბიჯები და სამომავლო გეგმა, რის შემდეგაც გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა და 2020 წლის ზაფხულიდან დაიგეგმა კვლევის ჩატარება, რაშიც მხარი დაგვიჭირა ახალგაზრდობის სააგენტომ. კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და ამოცანების საფუძველზე შეიქმნა დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც არაერთ განხილვას დაექვემდებარა, რათა ყოფილიყო მაქსიმალურად სრულყოფილი და ახალგაზრდობის მოთხოვნების აღსრულებაზე ორიენტირებული. ჩატარდა კვლევის შედეგების განხილვა, რის საფუძველზეც მომზადდა დოკუმენტი და მოეწყო მისი საჯარო განხილვა“ -აღნიშნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსმა გიორგი საცკოვმა.

პროცესში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორიდან, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ადგილობრივი მედია და ახალგაზრდები. საბოლოო ჯამში, 2021 წლის 7 ივნისს მოხდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე გატანა და ხმათა უმრავლესობით დამტკიცება.

,, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან აღნიშნულ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას და ჩართულობას. აღსანიშნავია ასევე, რომ ახალგაზრდული მიმართულებით ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია არაერთ პროგრამასა და პროექტს უჭერს მხარს, სწორედ ამიტომ მოხდა ასეთი გადაწყვეტილების მიღება, დამტკიცებული დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა უფრო მოქნილს და კომფორტულს გახდის ახალგაზრდული მიმართულებით მუშაობას. გაზრდის ახალგაზრდების ჩართულობას და მონაწილეობას ბოლნისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში, რაც მეტად შეუწყობს ხელს როგორც ახალგაზრდების თვითრეალიზებას, ასევე მუნიციპალიტეტის განვითარებას.“-განაცხადა გიორგი საცკოვმა.

კულტურის ცენტრის ბაზაზე უკვე შეიქმნა ახალგაზრდული განყოფილების სათემო ორგანიზაციები. შემუშავდა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის მიზანია ახალგაზრდებთან შეხვედრების გამართვა, მათი მოსმენა, საჭიროებებისა და იდეების განხილვა და აღსრულება. ცენტრის ახალგაზრდულმა განყოფილებამ, აქტიურად დაიწყო სათემოებში ახალგაზრდებთან კომუნიკაცია, სათემო ორგანიზაციები ამ ეტაპზე უკვე შეიქმნა სოფლებში: ტალავერში, ნახიდურში, ქვემო ბოლნისში, დარბაზსა და დაბა კაზრეთში, ეს არის სივრცეები, სადაც აქტიურად განხორციელდება სხვადასხვა სახის კულტურულ-შემეცნებითი, საგანმანათლებლო, გასართობი, თუ სპორტული ღონისძიებები.

,,ეს განყოფილება გაითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს და აქტიური ჩართულობით წვლილს შეიტანს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ფრთის განვითარებაში. განყოფილების სტრუქტურული სათემო ერთეულის მიერ, მისი ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში, სტრატეგიულ პრიორიტეტად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები: ახალგაზრდული საქმიანობის, ცნობადობისა და ნდობის ამაღლება საზოგადოებაში;

სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება ახალგაზრდებში;

ერთობლივი ძალებით ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა

მუნიციპალურ საქმიანობაში.

კულტურის ცენტრის ახალგაზრდული განყოფილების განვითარებისთვის პრიორიტეტი ენიჭება სათემო ორგანიზაციებს, რომელიც წლის განმავლობაში აპირებს, განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები:

სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირება ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო საშუალებებით.

სათემო ერთეულების სპეციალისტების გადამზადება, რომ მარტივად შეძლონ: ცენტრის ამოცანებისა და მიზნების სწორად მიტანა ახალგაზრდებთან.

ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ ინსტიტუციებთან და ორგანიზაციებთან მუდმივი კომუნიკაცია და ყველა საჭირო თემებში ჩართულობა.

საინფორმაციო და შემეცნებითი ვიდეორგოლების ჩვენება საზოგადოებრივ თემებზე.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ ახალგაზრდულ საჭიროებაზე ორიენტირებული ინოვაციური იდეები, მაგრამ არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება, ჩვენ დავეხმარებით დოკუმენტების მომზადებაში და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში.“ -განაცხადა კულტურის ცენტრის ახალგაზრდული განყოფილების ხელმძღვანელმა ალექსანდრე მანაგაძემ.

ტანძიაში ახალი ტურისტული ზონა მოეწყობა



სოფელ ტანძიაში, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მალე ახალი ლოკაცია გაჩნდება, მწვანე ზონაში ტურისტულ-სამეწარმეო ინფრასტრუქტურა ეწყობა. აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდება სახელოსნო სივრცე, სავაჭრო დახლები, საპიკნიკე ზონა, კეთდება ღია და დახურული ფაცხები, წყაროები, დამონტაჟდება განათება, მოეწყობა სველი წერტილები, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აქ ერთდროულად 100-მდე ვიზიტორის მასპინძლობა იქნება შესაძლებელი. აღნიშნული პროექტი შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, რაც სოფელში ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. მიმდინარე სამუშაოები ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად მოინახულა.

„ტანძიაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მიზნად ისახავს სოფლის ეკონომიკურ გაძლიერებას, ბიზნეს აქტივობების ხელშეწყობასა და ტურიზმის განვითარებას. პროექტის ფარგლებში, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე საკემპინგე, საპიკნიკე და სავაჭრო დახლების მოწყობა მიმდინარეობს და ტურისტული სეზონისთვის ყველა სამუშაო უკვე დასრულებული იქნება. აღსანიშნავია, რომ ტურისტულ სექტორში ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა გაყიდვებისა და სერვისის გაუმჯობესების მიმართულებით გადამზადდა. ეს მართლაც მნიშვნელოვანი პროექტი გაეროს განვითარების პროგრამისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით მიმდინარეობს. მოხარული ვარ, რომ UNDP ჩვენს მუნიციპალიტეტში ტურიზის განვითარებას ხელს უწყობს და ამ მიმართულებით აქტიურად გვეხმარება“, - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

მოგონებებით და ემოციებით შეგროვილი წამები

ფერების და ფიგურების კომბინაციით გადმოცემული განწყობა, ემოციებზე დაფუძნებული შემოქმედება, ერთი შეხედვით რთულად აღსაქმელი აბსტრაქციული ნამუშევრები, ნახატები, რომლებიც საშუალებას იძლევა საკუთარი ემოციები და გამოცდილება დაინახო - ასეთია ახალგაზრდა მხატვრის ნიკა გოგიაშვილის შემოქმედება, რომელმაც რაღაც ახლის, განსხვავებულის საძებნელად სამშობლო ექვსი წლის წინ დატოვა და ბოლნისიდან ძალიან შორს ბელგიაში, ხელოვნების ქალაქ ანტვერპენში გაემგზავრა. იქ სადაც, შინაგან ხმას და სათქმელს, ნახატებით ამბობენ. ახალგაზრდა ბიჭისთვის დიდი გზა მარტივი არ იყო, თუმცა ნიჭიერებით და თავდაუზოგავი შრომით შეძლო სახელოვნებო კრიტიკის კეთილგანწყობის მოპოვება. ახლა გამოფენისთვის ემზადება, ახალ ნამუშევრებზე მუშაობს, სადაც ნახატებთან ერთად დამთვალიერებელს საშუალება ექნება, შეიძინოს მის მიერ შექმნილი ეკო-მეგობრული ნატურალური სამოსი.

„ბავშვობა და ბედნიერი მოგონობები ბოლნისს უკავშირდება, სკოლის პერიოდი კარგად მახსენდება, წარჩინებით დავამთავრე პირველი

საჯარო სკოლა, იმ პერიოდში ჩემი მიზანი და ოცნება იყო, დავუფლებოდი პროფესიას, ასეც მოხდა, ჩავაბარე ილიაუნში იურიდიულზე, თუმცა ძალიან მინდოდა ჟურნალისტობა, ამიტომ ბაკალავრის დასრულების შემდეგ, სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავაგრძელე - ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. პარალელურად გადავწყვიტე დამოუკიდებლად ცხოვრება დამეწყო, სტუდენტობა, ეს ის პერიოდია, რომელიც ახალგაზრდას ეხმარება ახალი ცხოვრების გზის გავლაში, იღებ ახალ გამოწვევებს და გამოცდილებას, გამიმართლა და მალევე დავიწყე სამსახური, ვმუშაობდი ცენტრალურ ტელევიზიებში, ეს იყო უდიდესი გამოცდილება".

-რაც შეეხება ხელოვნებისადმი შენს ინტერესს, როდის დაიწყე ხატვა?

-ხატვით ბავშვობიდან ვიყავი გატაცებული, თუმცა ეს არ იყო სერიოზულ დონეზე, ამ მხრივ არ მიფიქრია ჩემი თავის განვითარებაზე, რადგან მთლიანად მოტივირებული ვიყავი სწავლაზე და დრო არ მრჩებოდა, ალბათ საქართველოში, არც არის ბევრი საშუალება ახალგაზრდებმა საკუთარ თავს დაუთმონ მეტი დრო, ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო, ვცდილობდი პროფესიული თვალსაზრისით გავზრდილიყავი.

-მიუხედავად შენთვის საყვარელი საქმისა და სამსახურისა, რატომ გადაწყვიტე საქართველოდან წასვლა?

-უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე საქართველოდან წასვლა. ვუსმენდი ჩემს თავს და მივხვდი, რომ ეს არ იყო საკმარისი, მეტი მასშტაბები და რაღაც, სხვა ახალი,- უნდა მეძებნა. შენს სამშობლოს არაფერი ჯობია, თუმცა მგონია, რომ ადამიანმა, განვითარების პერიოდში, აუცილებლად უნდა გამოიყენო შანსი, თუნდაც დროებით, სამშობლოს დატოვების ხარჯზე. ეს არის უდიდესი თავგადასავალი, გამოცდილება, საკუთარი თავის სხვა რაკურსით გაცნობა. სწორედ ასე მოვიქეცი, დავასრულე ჩემი კარიერა საქართველოში და საცხოვრებლად ბელგიაში გადავედი.

-ნიკა, ბელგიაში სრულიად ახალი მიმართულებით დაიწყე კარიერა, რთული არ იყო?

-რა თქმა უნდა, ყველაფერი უცხო იყო, თუნდაც ენა, ვიცოდი ინგლისური, ბელგიაში საუბრობენ ნიდერლანდურად და ჰოლანდიურად, ამ მხრივადაც

მომიწია დაწყება ახლიდან, ფარ-ხმალი არასოდეს დამიყრია, არ მიფიქრია, რომ ვერ შევძლებდი. თავდაპირველად ენის სწავლა დავიწყე, გადავწყვიტე მემუშავა პიროვნულ განვითარებაზე, გამეკეთებინა ისეთი რამ, რასთანაც შეხება არასდროს მქონია, ვფიქრობდი, დადგა დრო, რომ განმევითარებინა ჩემი თავი როგორც არტისტი. ქალაქი, სადაც ვცხოვრობ, ძალიან საინტერესოა,, ანტვერპენი - კულტურული ცენტრია, აქ უამრავი სახელოვნებო სკოლა და საშუალებაა შენი ნიჭის გასავითარებლად. ხშირად უსასყიდლოდ უწყობენ ხელს ახალგაზრდებს ამ მიმართულებით წინსვლაში, ყოველთვის მეფიქრებოდა სხვაგან წასვლაზე, რა თქმა უნდა, რთულია დატოვო ოჯახი, სამსახური, მეგობრები და წახვიდე უცხო ქვეყანაში, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე.

-შენს ახალ გადაწყვეტილებას როგორი განვითარება მოჰყვა?

-ჩემი აქ ჩამოსვლის დღიდან გადავწყვიტე განვვითარებულიყავი როგორც არტისტი, შემესწავლა ახალი ტექნიკები, მეტად გავცნობოდი ხელოვნების სფეროს. დავიწყე ხატვა და გადავწყვიტე, ჩემი ნახატები გამეცნო საზოგადოებისთვის.

-რა გახდა შენი ნახატების ინსპირაცია?

-ემოციები, რომლებიც უბრალოდ დაფუძნებულია ადამიანის ცხოვრებაზე, ძალიან მიყვარს მოგზაურობა, ადამიანების გაცნობა, დაკვირვება. საინტერესო მოგონებები ხდება ჩემი ნამუშევრების ინსპირაცია, ძალიან მალევე მოჰყვა დაინტერესება, კერძო დაკვეთები. ემოციებსა და გრძნობებზე დაფუძნებული ნახატები ახალი აღმოჩნდა მათთვის. ასეთმა დადებითმა გამოხმაურებამ, მეტი სტიმული მომცა მუშაობის, შემექმნა მეტი კოლექცია. ჩემი გრძნობები, ემოციები, დანახული წამები შემეგროვებინა და ასე მეთქვა სათქმელი ადამიანებისთვის. საკუთარ სათქმელს ყველა თავისებურად ამბობს, ცეკვით, სიმღერით, წიგნით.

-როგორც ვიცი, გარდა ნახატებისა, გაქვს საკუთარი ბრენდი.

-ახლახანს დავაფუძნე ტანსაცმლის ეკო-მეგობრული ხაზი, ჩემთვის ძალიან მტკივნეული და მნიშვნელოვანია ეკო სისტემა, მისი დაბინძურების საკითხი, ჩემი იდეა იყო, ხელოვნებიდან გამომდინარე შემექმნა კიდევ ერთი ახალი პროექტი, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ნახატებსა თუ სკულპტურებთან. პროდუქცია ასი პროცენტით ნატურალურია. დამზადებულია მწვანე ენერგიით,

რაც იმას ნიშნავს, რომ მის წარმოებაში არ არის გამოყენებული ისეთი ტექნიკა, რაც დაბინძურებს გარემოს. ჩემი ბრენდი დაკავშირებულია ხელოვნებასთან და მის პოპულარიზებასთან მოდის სფეროში. მთავარი ის კი არ არის, რა ბრენდის სამოსი გვაცვია, არამედ მთავარია, რას ვიცმევთ და რა გავლენას მოახდენს ეს წლების შემდეგ ჩვენზე და გარემოზე.

-სამომავლო გეგმებზე გვიამბე.

-ვმუშაობ ახალ კოლექციაზე, მაქვს მეტი შეკვეთები, ვიდრე თავიდან, ვცდილობ შევქმნა უნიკალური ნამუშევრები. ვემზადები პერსონალური გამოფენისთვის, პანდემიის გამო მომიწია თარიღის გადადება, ვფიქრობ შემოდგომისთვის აუცილებლად მოვახერხებ. ნახატებთან ერთად პანდემიის პერიოდში გამიჩნდა იდეა და შევქმენი სკულპტურა „ზაფხული სიცილიაზე", ამით ადამიანებს გავუზიარე დადებითი ემოცია და შევახსენე, რომ ცხოვრება მშვენიერია, მიუხედავად ამ რთული მოვლენებისა.



სკულპტურამ მყიდველში საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია.

-როგორია შორიდან შენი თვალით დანახული საქართველო.

-საქართველო უნიკალური ქვეყანაა, უდიდესი პოტენციალი გვაქვს იმისთვის, რომ ჩვენი სათქმელი უფრო მკაფიოდ და მნიშვნელოვნად ვთქვათ მსოფლიოში, ვიდრე ახლა ვახერხებთ. პირადად ჩემი დიდი სურვილია, მომავალში შეძლებისდაგვარად წვლილი შევიტანო ხელოვნების განვითარებაში, ძალიან მინდა უფრო მეტად მოხდეს პოპულარიზაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. საქართველო სავსეა ნიჭიერი ადამიანებით, უბრალოდ მათ უფრო მეტად სჭირდებათ ხელშეწყობა და გვერდში დგომა.

ნიკა გაზეთი „ბოლნისის" სახელით მადლობას გიხდით საინტერესო საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებებს და სამშობლოში ტრიუმფით დაბრუნებას.

მაგდა დევნოზაშვილი

ანსამბლ „სიონს“ კიდევ ერთი „ბაბუა” დააკლდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „სიონს“ კიდევ ერთი ნიჭიერი და გამორჩეული ბანი, ბადრი ისიანი დააკლდა. მისი მუსიკალური შემოქმედება 37 წლიან ისტორიას ითვლის, იგი 1983 წლიდან ფოლკლორულ ანსამბლში მოღვაწეობდა. ჰქონდა გამორჩეული ხმის ტემბრი და თავისუფლად ფლობდა სამივე ხმას. მას შეეძლო სიმღერის დროს ჩავარდნილი ხმა უპრობლემოდ ჩაენაცვლებინა და მსმენელისთვის, მუსიკალური ნომერი, დახვეწილად მიეწოდებინა.

ბადრი ისიანი მომღერლობამდე იყო ფეხბურთელი, საფეხბურთო გუნდ „მევენახეში“ მცველის პოზიციაზე თამაშობდა, სწორედ გუნდის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, დავით ყაველაშვილმა, შეამჩნია ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელის მუსიკალური შესაძლებლობები და ამავდროულად ფოლკლორულ ანსამბლში, სადაც თავად მღეროდა და იყო დამფუძნებული, მიიწვია, ბადრი ისიანი 1983 წლიდან, უწყვეტი რეჟიმით, ანსამბლ „სიონში“ მღეროდა და ბოლნისის კულტურულ ისტორიაში, თავისი მუსიკალური ნიჭით, შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობით და გამორჩეული ხმის ტემბრით შევიდა.

დავით ყაველაშვილი, ანსამბლ „სიონის“ ხელმძღვანელი:

-ფოლკლორულმა ანსამბლმა დიდი დანაკლისი განიცადა. ჩვენ კარგი მეგობარი და პასუხისმგებლობით სავსე მომღერალი დავკარგეთ. ბადრის ჰქონდა უნიკალური ნიჭი. მას შეეძლო თანაბრად ემღერა სამივე ხმა, იყო კარგი ბანი, რომელიც გუნდისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ბადრის ადრეული ასაკიდან, ჯერ კიდევ ფეხბურთელობის პერიოდიდან ვიცნობ, მე მაგ დროს „მევენახეს“ ვხელმძღვანელობდი და გასვლითი თამაშების დროს შესვენებისას, ეს ახალგაზრდა ყოველთვის გამოირჩეოდა მუსიკალური ნიჭით, იგი ძალიან კარგად მღეროდა. ბადრიმ 1983 წლიდან მოღვაწეობა გააგრძელა ანსამბლ „სიონში“, სადაც მალევე დაიმკვიდრა საპატიო ადგილი, ვწუხვარ, „სიონს“ აუნაზღაურებელი დანაკლისი აქვს, ჩვენ 4 კარგი მომღერალი და მეგობარი დავკარგეთ.

სოსო კოპალეიშვილი, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი:

-ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. ზოგჯერ სიხარულისა და ზოგჯერ მწუხარების დრო გვიდგება. სწორედ ასეთი მოულოდნელი მწუხარება დადგა ბოლნისის მუსიკალური საზოგადოების, ჩვენი „ბაბუების“ წინაშე. ანსამბლი „სიონი“ 60 წელზე მეტი მოღვაწეობის მანძილზე უამრავ კეთილ საქმეს აკეთებს და ეს მომღერლების დიდი ძალისხმევითაა განპირობებული. იმ მომღერლების, რომლებიც სამწუხაროდ, დროდადრო აკლდებიან წუთისოფელს.

მათი შემოქმედება და ხალისიანი მღერა ყველას გულს უთბობდა, ერთი-ორად მნიშვნელოვანი იყო მუსიკის მოყვარული საზოგადოებისთვის და ზოგადად მთელი ბოლნისისთვის. მართლაც გმირობაა, მუხლჩაუხრელად, დაუღალავად და დიდი ენთუზიაზმით, ასაკოვანი ხალხი დღემდე ახერხებს იყოს შემოქმედებით ასპარეზზე.

ბადრი ისიანი სწორედ ასეთი ადამიანი იყო. თითქმის არ არსებობდა სამეცადინო დღე, რომელიც მას გაეცდინოს, ღონისძიება, სადაც არ ემღეროს. მუდამ აქტიური იყო ანსამბლის შემოქმედებით მოღვაწეობაში, გამოირჩეოდა ხავერდოვანი ბანით და ზომიერად შეზარხოშებული მუდმივი არტისტიზმით, რაც ამშვენებდა ანსამბლის ერთობლიობას. უზომოდ შეყვარებული ქართულ ხალხურ სიმღერებზე და ანსამბლ „სიონზე“.

კულტურის ცენტრის სახელით, ვუსამძიმრებ და ვუთანაგრძნობ გარდაცვლილის ოჯახს, ანსამბლ „სიონს“ და ბოლნისელ საზოგადოებას ბადრი ისიანის გარდაცვალებას.

მის სახელს არასოდეს დაივიწყებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ბოლნისის მუსიკალური საზოგადოება.

მზევინარ ხომასურიძე, კულტურის სახლის ხელმძღვანელი:

-კულტურის სახლში შემავალი თითოეული ანსამბლის წევრი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, თუმცა განსაკუთრებულად მინდა გამოვყო ანსამბლ „სიონის“ უფროსი თაობა. მათ მიმართ ყოველთვის განსხვავებული დამოკიდებულება მქონდა და დღემდე ასეა, როცა კონცერტი გვაქვს, ან სადმე ფესტივალზე გასვლაა, ისინი თითქოს განსხვავებული ენერგიით, ემოციით ემზადებიან. კონცერტის წინ ხშირად შემირბენია ხოლმე და მოფერებით მითქვამს „აბა ბიჭებო, ხომ კარგად ხართ“ და ისინი „კეკლუცი“ ბიჭებივით აციმციმებული თვალებით მაიმედებენ, რომ ყველაფერი რიგზე აქვთ. ძალიან მწყდება გული, ყველასთვის საყვარელ „ბაბუებს“ კიდევ ერთი წევრი ბადრი ისიანი გამოაკლდა, ჩვენი საყვარელი ბაბუა აღარ დაამშვენებს კულტურის სახლის სცენას და აღარ მოგვეცემა მისი ტკბილი ხმის მოსმენის საშუალება, თუმცა დაგვრჩა უამრავი სასიამოვნო მოგონება, რომელსაც მუდამ თბილად და ღიმილით გავიხსენებთ.

გელა ურუმაშვილი, ბოლნისის მკვიდრი:

-ვიზიარებ ბოლნისის კულტურული საზოგადოების ტკივილს, არაჩვეულებრივი ბაბუა დავკარგეთ, ყოველთვის ვცდილობდი მომესმინა მისი ტკბილი ხმა, არაჩვეულებრივი ადამიანი და მომღერალი იყო.

პ.ს. ჩვენი „ბაბუები” არსებობის რამდენიმე ათეულ წელს ითვლიან. ამ ხნის მანძილზე არაერთი ხავერდოვანი და აკადემიური საღამო აჩუქეს მსმენელს, ისინი ამშვენებენ და ალამაზებენ ბოლნისურ ყოფას, სამწუხარო კანონზომიერებით აკლდებიან მათ რიგებს, მაგრამ ტოვებენ კვალს, რომელიც არასოდეს წაიშლება. ვუერთდებით საერთო მწუხარებას და ტკივილს, რასაც ბადრი ისიანის დაკარგვა ჰქვია.

მარინა გავაშელი

სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ახალ სასწავლო წელს, რეაბილიტირებულ, ევროპული სტანდარტების შესაბამის სკოლაში შეაბიჯებენ. 70-იან წლებში აგებული შენობა სადემონტაჟო სამუშაოებს საქიროებდა, გაკეთდა არმირებული პერანგი რაც შენობის სეისმურ მდგრადობას უზრუნველყოფს. მთლიანად სკოლა, სველი წერტილებით სრულად ადაპტირდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა და სავინტილაციო სისტემა. გარე სივრცეში გაკეთდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივ საფარიანი სპორტული მოედანი, დაიგება ასფალტის საფარი,დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების გამწმენდი ბიო ნაგებობა, კეთილმოეწყობა ეზო და შემოიღობება სკოლის გარე პერიმეტრი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სკოლას სარეაბილიტაციო სამუშაოები პირველად უტარდება და ის ევროპული სტანდარტების შესაბამისი იქნება. საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები დღეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად მოინახულა.

,,სკოლას კაპიტალური რეაბილიტაცია პირველად უტარდება, ეს ისტორიული პროექტი ოქტომბერში დასრულდება და მისი სატენდერო ღირებულება 1 100 000 ლარს შეადგენს. სამუშაოების ფარგლებში შენობაში ასევე გათბობის სისტემა დამონტაჟდება და ეზოში სპორტული მოედანიც მოეწყობა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ქვეშის გარდა წელს რეაბილიტაცია ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლაშიც მიმდინარეობს. მოხარული ვარ, რომ მალე ჩვენი მოსწავლეები ევროპული სტანდარტების მქონე,

თანამედროვე სკოლებში გააგრძელებენ სწავლას“, - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

გურამ გიორბელიძე წლის საუკეთესო დებიუტანტ ფეხბურთელად დასახელდა

გაზეთ - „სარბიელის“ ტრადიციულ გამოკითხვაში, 81-მა სპორტულმა ჟურნალისტმა საქართველოს 2020-2021 წლების სეზონის საუკეთესო დებიუტანტ ფეხბურთელად ბოლნისელი სპორტსმენი, საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ავსტრიული „ვოლფსბერგის“ წევრი გურამ გიორბელიძე დაასახელა.

ბოლნისელ სპორტსმენს, მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი ულოცავს მიღწეულ შედეგს და წარმატებებს უსურვებს.

,,აღსანიშნავია, რომ გურამი ნომინაციის პირველი გამარჯვებული გახდა. მთელი გულით ვულოცავ გურამს ამ გამარჯვებას. მან უკვე არაერთხელ ასახელა ჩვენი მუნიციპალიტეტი და მისით თითოეული ბოლნისელი განსაკუთრებით ვამაყობთ. მინდა, გურამს საკლუბო და სანაკრებო კარიერაში წარმატებები ვუსურვო. მჯერა, ის მომავალში არაერთ საფეხბურთო მწვერვალს დაიპყრობს!”- განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით შერაზადიშვილმა.

ზაფხული და გადამდები დაავადებები

ზაფხულის ცხელი პერიოდის დადგომისთანავე მნიშვნელოვნად მატულობს მწვავე დიარეული დაავადებების შემთხვევები.

დიარეით მიმდინარე დაავადებათა/საკვებისმიერი ინტოქსიკაციების მაღალი მაჩვენებლები ზაფხულის

პერიოდში ფიქსირდება როგორც ერთეული, ისე ეპიდაფეთქებების სახით (ჯგუფური შემთხვევები). ეპიდაფეთქებები უმეტესად უკავშირდება დაბინძურებული სასმელი წყლის მოხმარებას და მასიურ სუფრებზე არასწორად მომზადებულ-შენახული საკვების მიღებას.

წყლითა და საკვებით გადაცემადი დაავადებების თავიდან აცილების მიზნით, გახსოვდეთ:

- წყალსადენში წყლის წყვეტილი მიწოდებისას, წყალმა სასურველია იდინოს არანაკლებ 10 წუთი და შემდეგ გამოიყენოთ სასმელად ან საკვების მოსამზადებლად;

- არ გამოიყენოთ სასმელად წყალი ადუღების გარეშე, თუ მის უვნებლობაში დარწმუნებული არ ხართ, ანადუღარი წყალი უსაფრთხოა მომდევნო 24 საათის განმავლობაში;

- სასურველია წყლის გამწმენდი სხვადასხვა ტიპის საოჯახო ფილტრების გამოყენება, უსაფრთხოა ცენტრალიზებული წყალსადენის წყალი, რომელიც იფილტრება და დეზინფიცირდება;

შეგროვილი, ანადუღარი სასმელი წყალი შეინახეთ სუფთა, დახურულ რეზერვუარში და არ გამოიყენოთ წყლის შესანახი ჭურჭელი სხვა დანიშნულებით (რძის ან სხვა სითხის შესანახად);

ღია წყალსატევში ბანაობისას ან თევზჭერისას არ ჩაყლაპოთ წყალი;

გამოიყენეთ სუფთა სასმელი წყალი:

- ხილისა და ბოსტნეულის გასარეცხად
- საკვების მოსამზადებლად
- სასმელების დასამზადებლად
- ყინულის მოსამზადებლად
- ჭურჭლისა და სამზარეულოს სხვა ინვენტარის გასარეცხად
- ხელების დასაბანად

- მოხმარების წინ ცხოველური წარმოშობის საკვები, განსაკუთრებით ფრინველის, ღორისა და საქონლის ხორცი, თევზი, კვერცხი ძალიან კარგად უნდა დამუშავდეს თერმულად (შეიწვას ან მოიხარშოს);

- მომზადებული კერძი სასურველია მიიღოთ ჯერ კიდევ ცხელი ან მზა კერძი ქამის წინ კარგად უნდა გაცხელდეს;

- მომზადებული საკვების ხელახალი დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, მაცივარში ცალკე უნდა შეინახოთ უმი და თერმულად დამუშავებული პროდუქტი. უმი პროდუქტი შეფუთული, ხოლო თერმულად დამუშავებული პროდუქტი - თავდახურულ ჭურჭელში;

- უმი და მოხარშული პროდუქტის დასამუშავებლად იქონიეთ ცალ-ცალკე დაფები;

- არ მიიღოთ უმი, ნახევრად მოხარშული ან შემწვარი კვერცხი, აგრეთვე გოგლი-მოგლი ან სახლში დამზადებული ნაყინი;

- საკვებად არ გამოიყენოთ ჭუჭყიანი ან გაბზარული კვერცხები;

- არ მიიღოთ აუდუღარი რძე და რძის პროდუქტები;

- სალათები უნდა შეიკაზმოს მაიონეზით ან არაჟნით უშუალოდ სუფრაზე მიტანის წინ;

- მწვანილი და ხილი ჯერ უნდა ჩალბეს და შემდეგ გულდასმით უნდა გაირეცხოს გამდინარე, სანდო ხარისხის წყლით, სასურველია ხილი მიიღოთ საღი, ახლად გაფცქვნილი;

- სასურველია ზაფხულის პერიოდში უარი თქვათ მოხარშული და ათქვეფილი ნაღებით მომზადებული ტორტების და კრემიანი ნამცხვრების მოხმარებაზე, ან/და მათი მომზადებისას გამოიყენოთ მხოლოდ დაუზიანებელი, სუფთა ნაჭუჭიანი კვერცხი და ისეთი პროდუქტები, რომელთა შენახვის პირობები და ვარგისიანობის ვადები დაცულია;

- თუ მაინც გადაწყვეტთ ზაფხულის პერიოდში კრემიანი ნამცხვრებისა და ტორტების საკვებად გამოყენებას, გახსოვდეთ რომ მათი შენახვა შეიძლება 0°C -8°C ტემპერატურაზედამზადებიდან არა უმეტეს: ცილოვანი კრემებით და ხილით გაწყობილი - 72 საათი; ნაღების კრემით - 36 საათი; მოხარშული კრემით - 6 საათი; ათქვეფილი ნაღებით - 7 საათი;

- დაუშვებელია დიარეის (ფაღარათის) მქონე პირების მონაწილეობა საკვების მომზადებაში, ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფების, მოხუცებისა და ბავშვების მოვლაში;

- დაავადებათა კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე აუცილებელია მიმართოთ ექიმს;

- ექიმის მოსვლამდე თავი შეიკავეთ საკვებისა და ანტიბაქტერიული წამლების მიღებისგან. აუცილებელია ავადმყოფს დაალევინოთ ე.წ. ორალური სარეჰიდრატაციო საშუალებები (რეჰიდრონი ან მისი ანალოგები) ან ანადუღარი წყალი ან სუსტი ჩაი, რადგან ღებინებისა და ფაღარათისგან ორგანიზმი ბევრ სითხეს კარგავს;

- დაუშვებელია თვითმკურნალობა, არასწორად ჩატარებული მკურნალობა ხელს უწყობს ქრონიკული დაავადების ჩამოყალიბებას.

ზაფხულში მატულობს სხვადასხვა ცხოველების (განსაკუთრებით ძაღლების) მიერ ადამიანთა დაკბენა, დაკაწვრა, დადორბვლის შემთხვევები. ცხოველისგან დაზიანების შემთხვევაში აუცილებელია უახლოესი სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვა ვაქცინაციის საკითხის გადასაწყვეტად.

საქართველოში გავრცელებული გველებიდან მხოლოდ ორი სახეობაა შხამიანი. გველისგან დაკბენის შემთხვევაში დაზარალებული დაუყოვნებლივ უნდა გადაიყვანოთ უახლოეს რაიონულ ცენტრში. რაიონულ ცენტრებში არსებული საავადმყოფოები მომარაგებულია გველის შხამის საწინააღმდეგო პრეპარატებით.

ფლებოტომუსებისა და კოღოებისგან თავის დაცვის მიზნით სასურველია ფანჯრების აბადვა, გრძელსახელოებიანი ტანსაცმელისა და რეპელენტების (დამაფრთხობლები) გამოყენება. ანალოგიური წესები უნდა დაიცვათ ტკიპებისაგან თავის დასაცავადაც, დამატებით, ბუნებაში ყოფნისას სასურველია ატაროთ წინდებში ჩატანებული შარვალი. ტკიპებს ბევრი საშიში დაავადება გადააქვთ, მათ შორის ბორელიოზი და ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება. ტკიპების გავცელების არეალში ყოფნის შემდეგ, საგულდაგულოდ დაითვალიერეთ სხეული - ტკიპას გამოვლენისა და მისი უსაფრთხოდ მოცილების მიზნით. გახსოვდეთ - ტკიპას დროული მოშორება სხეულიდან - დაინფიცირების რისკის შემცირების კარგი შესაძლებლობაა. დაუშვებელია ტკიპების მოშორება დაუცველი ხელებით.

გახსოვდეთ, რომ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ფიქსირდება წითელას შემთხვევები. წითელა სიცოცხლისთვის საშიში დაავადებაა და მისი პრევენციის ერთადერთი საშუალება - ვაქცინაციაა. დაბეჯითებით გირჩევთ 41 წლამდე ასაკის პირებმა გადაამოწმოთ საკუთარი აცრის სტატუსი და თუ წითელას საწინააღმდეგო ვაქცინა არასდროს მიგიღიათ ან ვერ აღმოაჩენთ აცრის დამადასტურებელ დოკუმენტს - ჩაიტაროთ იმუნიზაცია წითელას წინააღმდეგ!

ასევე შეგახსენებთ, რომ ზაფხულის ბოლოსთვის, აუცილებელია ბავშვთა აცრის სტატუსის კიდევ ერთხელ გადამოწმება და ასაკობრივად გამორჩენილი აცრების სკოლაში/ბაღში შეყვანამდე ჩატარება.

ქვემო ქართლისთვის დამახასიათებელი კულინარიული რეცეპტები წიგნში „ეთნო ტაბლა“ მოიყრის თავს

კულინარიული წიგნების, მესხური, კოლხური, თუშური და ქისტური ტაბლას შემდეგ, USAID/Zrda გამოსცემს ახალ კულინარიულ კრებულს, „ეთნო ტაბლა“, რომელშიც თავმოყრილი იქნება, ქვემო ქართლის რეგიონში წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობების (სომეხი, აზერბაიჯანელი, ბერძენი, გერმანელი, ასირიელი) ძველი კულინარიული რეცეპტები.

პროექტის ფარგლებში, ახალი კულინარიული წიგნის „ეთნო ტაბლას“ კერძების ტესტირების პროცესი და „ნუდლის სუპის“ მასტერკლასი გერმანული რეცეპტის მიხედვით, ბოლნისში გაიმართა და მასში მონაწილეობა USAID/საქართველოს მისიის დირექტორის მოადგილემ, დევიდ ჰოფმანმა, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილემ კახა კობერიძემ და USAID/Zrda-ს ხელმძღვანელმა, ქეთი ჭუმბურიძემ „ბოკუზ დორ საქართველოს“ მონაწილე და გამარჯვებულ შეფ-მზარეულებთან ერთად მიიღო. ღონისძიებას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ვალენტინა ნავერიანიც დაესწრო.

„ეთნო ტაბლა“ წარმოადგენს USAID/Zrda-ს მიერ საქართველოს გასტრონომიის ასოციაციასთან ერთად შემუშავებულ ახალ ტურისტულ პროდუქტს. ქართულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი წიგნი შექმნილია მიზნობრივი რეგიონების, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით პოპულარიზაციის მიზნით.

Bolnisi Bələdiyyəsi gənclərə yönəlmiş strateji plan hazırladı

Bolnisi Bələdiyyəsi gəncləri dəstəkləyir və onlara qayğı göstərir və gənclər siyasətinin inkişafı prosesində daim yeniliklər etməyə çalışır. 2015-ci ildən bəri Bolnisi Bələdiyyəsi ilkin olaraq gənclər məsələləri ilə məşğul olanlar üçün nəzərdə tutulmuş bir gənclik siyasətinin inkişaf sənədi üzərində təlim-seminarları, iş görüşmələri, təcrübə mübadiləsi və s. mövzusunda işləyir.

Gürcüstan dövlətinin gənclər siyasəti sənədi olmasına baxmayaraq, müşahidələr nəticəsində ehtiyaclar, problemlər və onların həlli yollarını dəlillərə əsaslanaraq yerli səviyyədə bənzər bir sənədin yaradılmasının daha təsirli olacağı aşkar edildi.

"2019-cu ilin ikinci yarısında yerli gənclik strategiyası yaratmaq üzərində işə başladıq. Bir az çalışdıqdan sonra 2020-ci ildə gənclər sahəsində vahid ekosistemin yaradılmasını nəzərdə tutan Gənclər Agentliyi proqramına qoşulduq və bu mövzuda fəal şəkildə çalışmağa başladıq. Birinci mərhələdə gənclik sahəsində çalışan insanlar yenidən hazırlandı, 10 hədəf bələdiyyənin nümayəndələri ilə Strasburqda oldum, burada Avropa təcrübəsini öyrənməyə və bu modeli reallığımıza uyğunlaşdırmağa yönəlmiş bir seminarda iştirak etdim. Yığıncağa qeyri-hökumət təşkilatlarının nümayəndələri qatıldı və burada gənclərin inkişaf strategiyasının necə və hansı yollarla yaradılması lazım olduğunu ətraflı müzakirə etdilər. Orada iş prosesinin addımları və gələcək planı planlaşdırıldı, bundan sonra bir sıra işgüzar görüşlər keçirildi və 2020-ci ilin yayında Gənclər Agentliyi tərəfindən dəstəklənən bir araşdırma planlaşdırıldı. Tədqiqatda müəyyən edilmiş problem və hədəflərə əsaslanaraq sənədin mümkün qədər tam olması və gənclərin tələblərinin yerinə yetirilməsinə yönəldilməsi üçün çoxsaylı müzakirələrə məruz qalan işçi versiyası hazırlanmışdır. Araşdırmanın nəticələri müzakirə olundu, bunun əsasında bir sənəd hazırlandı və ictimai müzakirə edildi",- deyə Bolnisi Bələdiyyəsinin Təhsil və Gənclərlə iş şöbəsinin müdiri Qiorqi Saçkov qeyd edib.

Müxtəlif sahələrin nümayəndələri, həm dövlət, həm də qeyri-hökumət təşkilatı, təhsil resurs mərkəzi, yerli media və gənclər prosesə cəlb edildi. Nəhayət, 7 iyun 2021-ci ildə Bolnisi Bələdiyyəsinin Gənclik İnkişaf Strategiyası və Fəaliyyət Planı Bolnisi Bələdiyyə Şurasına təqdim edildi və səs çoxluğu ilə təsdiqləndi.

"Bolnisi Bələdiyyəsi rəhbərliyinin bu proseslərdə fəal iştirakı vurğulamamaq olmaz. Onu da qeyd etmək lazımdır ki, Bolnisi Bələdiyyəsi gənclər sahəsində bir sıra proqram və layihələrə dəstək verir, bu səbəbdən belə bir qərar verildi, təsdiq edilmiş sənəd və fəaliyyət planı gənclər sahəsində işləməyi daha çevik və rahat edəcəkdir. Bu, gənclərin Bolnisi Bələdiyyəsində davam edən proseslərdə iştirakını artıracaq, bu da gənclərin özünü dərk etməsinə və bələdiyyənin inkişafına böyük töhfə verəcək ", - Qiorqi Saçkov bildirib.

Gənclər şöbəsinin icma təşkilatları artıq Mədəniyyət Mərkəzinin bazasında yaradılıb. Gənclərlə görüşlər keçirmək, onları dinləmək, ehtiyac və fikirləri müzakirə etmək və həyata keçirmək məqsədi ilə strateji inkişaf planı hazırlanmışdır. Mərkəzin gənclər şöbəsi icmalardakı gənclərlə ünsiyyətə fəal şəkildə başlamışdır: Talaveri, Naxiduri, Kvemo Bolnisi, Darbazi və Daba Kazreti kəndlərində artıq müxtəlif mədəni-idrak, təhsil, əyləncə və ya idman tədbirlərinin aktiv şəkildə həyata keçiriləcəyi ictimai təşkilatlar yaradılmışdır.

"Bu şöbə cəmiyyətin müxtəlif qruplarının ehtiyaclarını nəzərə alacaq və bələdiyyənin gənclər qanadının inkişafına fəal töhfə verəcəkdir. Şöbənin struktur icma vahidinin baxış və dəyərlərinə görə növbəti bir il üçün aşağıdakı sahələr strateji prioritet olaraq müəyyən edilmişdir: gənclərin fəaliyyətinin artırılması, cəmiyyətə məlumatlılığın və inamın artırılması;

Gənclər arasında sosial və vətəndaş məsuliyyətinin artırılması; Birgə səylərlə yerli gənclərin bələdiyyə fəaliyyətlərinə cəlb olunmasını artırmaq.

Mədəniyyət Mərkəzinin gənclər şöbəsinin inkişafı üçün il ərzində aşağıdakı fəaliyyət və tədbirləri həyata keçirmək niyyətində olan icma təşkilatlarına üstünlük verilir:

Əlçatan rabitə vasitələri ilə kənd gənclərinin məlumatlandırılması.

İcma vahidi mütəxəssislərinin asanlıqla bacara bilməsi üçün təlim: Mərkəzin məqsəd və vəzifələrini gənclərə düzgün şəkildə çatdırmaq.

Ölkə daxilindəki qurum və təşkilatlarla və bələdiyyə ilə davamlı əlaqə və bütün lazımi icmalara cəlb olunma.

İctimai mövzularda məlumat verən videoların göstərilməsi.

"Bələdiyyədə yaşayan, gənclərin ehtiyaclarına yönəlmiş yenilikçi fikirləri olan, lakin müvafiq təcrübəsi olmayan gənclərə sənədlərin hazırlanmasında və yerli idarəetmə ilə münasibətlərdə kömək edəcəyik". - deyə Mədəniyyət Mərkəzinin Gənclər şöbəsinin müdiri Alexander Manaqadze bildirib.

Tandziyada yeni turizm zonası qurulur

Sulxan-Saba Orbeliani Ədəbiyyat Muzeyinin yaxınlığındakı Tandzia kəndində tezliklə yeni bir yer görünəcək və yaşıl bölgədə turizm-müəssisə infrastruktur qurulacaq. Sözügedən ərazidə emalatxana sahəsi, ticarət skamyaları, gəzinti sahəsi, açıq və qapalı daxmalar, bulaqlar, işıqlandırma, hamam otağı düzəldiləcək və fiziki məhdudiyyətli şəxslər üçün uyğun hala gətiriləcək. Bir dəfəyə 100 ziyarətçini qəbul etmək mümkün olacaq. Layihə kənddə iqtisadi inkişafa kömək edəcək əlavə iş yerləri yaradacaqdır. Layihə BMT İnkişaf Proqramı çərçivəsində, Regional İnkişaf və İnfrastruktur Nazirliyi ilə əməkdaşlıqda və yerli büdcədən birgə maliyyələşdirmə ilə həyata keçirilir. Bolnisi Bələdiyyə Meri Davit Şerazadişvili, İnfrastruktur Xidmətinin Başçısı ilə birlikdə bu gün davam edən işləri ziyarət etdi.

Kveşi kəndinin dövlət məktəbində bərpa işləri aparılır

Bolnisi bələdiyyəsindəki Kveshi dövlət məktəbinin şagirdləri yeni tədris ilində bərpa edilmiş avropa standartlarına cavab verən məktəbə addım atacaqlar. 70-ci illərdə tikilmiş binanın sökülməsi lazım idi, binanın seysmik müqavimətini təmin etmək üçün möhürlənmiş divar örtüyü ilə düzəldildi. Bütövlükdə məktəb, fiziki məhdudiyyətli şəxslər üçün tam uyğunlaşdırılmış hamam otaqları ilə. Mərkəzi istilik və havalandırma sistemi quraşdırılmışdır. Açıq məkanda həm süni, həm də təbii örtüklü idman meydançası hazırlanacaq, asfalt örtük döşənəcək, müasir standartlara cavab verən təmizləyici qurğu quraşdırılacaq, həyət abadlaşdırılacaq və məktəbin xarici ətrafı hasara alınacaqdır. Qeyd etmək lazımdır ki, bu məktəb ilk dəfə bərpa olunur və Avropa standartlarına cavab verəcəkdir. Dövlət məktəbindəki bərpa işlərini bu gün Bolnisi Bələdiyyə Meri İnfrastruktur Xidmətinin Başçısı ilə birlikdə ziyarət etdilər.

"Məktəb ilk dəfə kapital reabilitasiyasından keçir, bu tarixi layihə oktyabr ayında başa çatacaq və tender dəyəri 1 100 000 laridir. İşlər çərçivəsində binada istilik sistemi quraşdırılacaq və həyətdə idman sahəsi təşkil ediləcəkdir. Qeyd edək ki, Bələdiyyə İnkişaf Fondunun maliyyəsi ilə Kveşidən əlavə bu il Bolnisi şəhərinin N1 dövlət məktəbində də davam edir. Şadam ki, tezliklə şagirdlərimiz Avropa standartlarına cavab verən müasir məktəblərdə təhsillərini davam etdirəcəklər ",- Bolnisi Bələdiyyə meri Davit Şerazadişvili bildirib.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯის ქვეყნის რეგიონალურ განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ,,ოქროს ბრენდის'' წოდება მიენიჭა!

წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზნეს დაჯილდოვება Global Idea-სა და The FINANCIAL-ის ორგანიზებით ჩატარდა. დარგის ლიდერის წოდება კომპანიას წლის ყველაზე გავლენიან ბიზნეს დაჯილდოვებაზე „Golden Brand“ მიენიჭა.

"მინდა ეს ჯილდო, გავუზიარო თითოეულ ჩვენს თანამშრომელს. ვფიქრობ,რომ სწორედ ეს ადამიანები აქცევენ ჩვენს კომპანიას „ოქროს ბრენდად“, თავიანთი პროფესიონალიზმით, ყოველდღიური მუხლჩაუხრელი შრომითა და თავდადებით." - თორნიკე ლიპარტია, არემჯის აღმასრულებელი დირექტორი.

ლაშა შავდათუაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ძიუდოისტი გახდა, რომელიც ოლიმპიადის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია.

არემჯი ქართველი ჩემპიონების მხარდამჭერია.

გარემოს დაცვის მინისტრის და საპარლამენტო სამუშაო ჯგუფის წევრების ვიზიტი „არემჯიში“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტთან არსებული ქვემო ქართლის რეგიონში დაბინძურების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად, დაბა კაზრეთში „არემჯის “გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

მინისტრმა რეგულარული მონიტორინგის ფარგლებში „არემჯი კოპერის“ №4 ფუჭი ქანების სანაყაროს ძირში მოწყობილი წყალდაცვითი პროექტი დაათვალიერა, რომელიც მდ. ფოლადაურის ჩამდინარე წყლებისგან დაცვას ითვალისწინებს.

სტუმრებმა ასევე მოინახულეს „არემჯი კოპერის“ საწარმოო ტერიტორიაზე, მიმდინარე რეკულტივაციის პროექტები. მათ შორის №2 ფუჭი ქანების სანაყაროს გამწვანების საპილოტე პროექტი, რეკულტივირებული ტუფის კარიერი და კუდსაცავი.

„პირადად მე და სამინისტროს თანამშრომლებიც რეგულარულად ვსტუმრობთ კომპანიას, რომ ჩვენი თვალით ვნახოთ თუ როგორია პროგრესი კომპანიაში გარემოსდაცვითი მიმართულებით, რაც ნამდვილად სახეზეა. ჩვენ ვიხილეთ მე-4 სანაყარო, რომელიც ზედაპირული წყლების დაბინძურების წყარო იყო, მაგრამ კომპანიამ მოახერხა ამ ძირითადი დამაბინძურებელი წყლების მოცილება და შესაბამისად მდინარეები მაშავერა და ფოლადაური ბევრად უფრო სუფთაა.“ - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

„არემჯის“ გარემოსდაცვითი პროგრამა დასკვნით ფაზაშია. გარემოსდაცვითი პროექტების განსახორციელებლად კომპანიამ 30 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა. გარემოს დაცვის სამინისტროს მიწერილობის შესრულების შემდეგ, კომპანიის მხრიდან გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელება გაგრძელდება. ვმუშაობთ სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიებთან, ვიღებთ საერთაშორისო გამოცდილებას, იმისთვის რომ ჩვენი საქმიანობის შედეგად გარემოზე მიყენებული ზემოქმედება იყოს მინიმუმამდე დაყვანილი.“- განაცხადა „არემჯის“ აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ.

ვიზიტის ბოლოს სტუმრებმა „არემჯი აურამაინის“- მიწისქვეშა ტიპის ბექთაქარის მაღარო დაათვალიერეს, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებით განხორციელებული ახალი სამთამადნო პროექტია.

გუმბათ მამედოვი

მადნის დასინჯვის უბნის უფროსი

გუმბათ მამედოვი კომპანია „არემჯის“ გუნდის წევრია. თავის საქმეზე შეყვარებული გუმბათი თვლის, რომ სამსახური მისი მეორე ოჯახია. გუმბათ მამედოვი დღეს კომპანიაში დასინჯვის უბნის უფროსის პოზიციას იკავებს, თუმცა წლების მანძილზე სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამთო-ინჟინერ-გეოლოგმა მუშაობა აზერბაიჯანში ქალაქ დასკენსანში რკინის მადნის მაღაროში დაიწყო. 1978 წლიდან კი ის საცხოვრებლად საქართველოში გადმოვიდა და მას შემდეგ კომპანიის თანამშრომელია. სამთო მომპოვებელ კომპანიაში წლებია საყვარელ საქმიანობას ერთგულად ემსახურება და უძღვება დაკისრებულ მოვალეობას.

„მთავარია გიყვარდეს საქმე და კომფორტულად გრძნობდე თავს, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებთ. კომპანია არის ჩემთვის დიდი ოჯახი, სადაც ძალიან კარგად გვესმის ერთმანეთის. წლების მანძილზე კომპანიაში იყო, როგორც მძიმე, ისე აღმავლობის პერიოდი. დღეს კი საწარმო მთელი დატვირთვით მუშაობს. ბოლო წლებია დიდი ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხოებას, გარემოზე ზრუნვას, ეს ძალიან მახარებს.“

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოძრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.